საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL - NATIONAL FOOD AGENCY

№ ________      ____ ____________ 201 წ.

MOA 7 15 00015220      23/04/2015

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ბატონ იური ნოზაძეს

ბატონო იური,

თქვენი, მიმდინარე წლის 8 აპრილის #4114/01 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის #420 დადგენილების თანახმად, საქართველოში წარმოშობილად ითვლება „ამ ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცხოველები".

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოდან ექსპორტირებულ საკლავ, სანაშენე და სხვა ცხოველებზე, ფრინველზე, ფუტკარზე და ამანათ ნაყარზე" გასაცემი ვეტერინარული სერტიფაკატის პირველ პუნქტში- „ცხოველის წარმოშობა" შესაბამისი ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენტური უწყებების მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე.

რაც შეეხება „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის #430 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოდან ექსპორტირებულ საკლავ, სანაშენე და სხვა ცხოველებზე, ფრინველზე, ფუტკარზე და ამანათ ნაყარზე" გასაცემ ვეტერინარულ სერტიფიკატში არსებულ ჩანაწერს ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოველის ყოფნის არანაკლებ ექვსთვიან პერიოდთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი სერტიფიკატიდან ამოღებულ

ქ.თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ.№ 6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+ 995 32) 91 91 67 www.nfa.gov.ge
ფაქ/Fax: (+ 995 32) 91 91 65 info@nfa.gov.ge

ზემოაღნიშნული ვადის 1 თვემდე შემცირების შემთხვევაში და ჩვენს მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების პირობებში, ცოცხალი ცხვრის საკარანტინო მოთხოვნების შესრულებით ქვეყანაში შემოვა 50-55 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს მეცხვარეობის დარგის სტიმულირებას. სახელმწიფო ბიუჯეტი დამატებით მიიღებს 5-6 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის სახით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია დამატებით მიიღებს 1 200 000 ლარს. მოეწყობა საკარანტინო ზონები ბოლნისისა და ნინოწმინდის რაიონებში, სადაც უკვე გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები 500 ჰექტარ საძოვარზე და რაც ყველაზე მთავარია დასაქმდება 200-220 ადამიანი, მათ შორის 100-მდე მეცხვარე, რომელთა საშუალო ხელფასი 1200 ლარამდე იქნება.

პარალელურად ვფიქრობთ მჭიდროდ ვითანამშრომლოთ დარგის სპეციალისტებთან და მეცნიერებთან ქართული ცხვრის ინტერესების დაცვით ჯიშების სელექციაზე, რათა ისინი გახდნენ კონკურენტუნარიანი მხოფლიო ბაზარზე.

ბატონო ოთარ!

ვიცით, რა ქვეყნის ხელისუფლების მიერ მეცხვარეობის დარგის განვითარებისთვის უკვე გადადგმული და მომავალში დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ, იმედს ვიტოვებთ დაგვეხმარებით ზემოთაღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით

შპს "ვიქტორია"-ს დირექტორი: გ. ადამია